შორენა მეტრეველი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ნინო მაზიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
ასოცირებული პროფესორი

ეკოტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის ბიზნესის განვითარება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით. ამ ფონზე ყველა კვლევით დადასტურებულია, რომ ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე არის ეკოლოგიური ტურიზმი, მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის დინამიკურად განვითარებადი მიმართულება, რომელზეც ტურისტულ ბიზნესში კაპიტალის მსოფლიო ბრუნვის 7-8% მოდის.
საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს, ეკოტურიზმი იქცეს ტურიზმის წამყვან სახეობად, რასაც შეუძლია შეაჩეროს მიგრაცია მთიდან ბარში და ქვეყანას შეუნარჩუნოს ულამაზესი სოფლები, მათი განსაკუთრებული ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით. ეკოტურიზმი დიდ საზოგადოებრივ სარგებელსა და ინვესტიციებს უზრუნველყოფს, მისი განვითარებისთვის აუცილებელია ბევრი პრობლემის გადაჭრა სამთავრობო დონეზე. პარალელურად კი კერძო სექტორის ჩართვა და დაინტერესება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და განთავსება ეკოტურიზმის განვითარებაში. განვითარების პერსპექტივები არსებობს, მთავარია, რამდენად სწორად მოხდება მათი გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: ეკოტურიზმი, ტურისტული ბაზარი, ბუნების მრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები.

ტურიზმი მსოფლიოში საოცარი ტემპით ვითარდება და თავისი ინტერესების არეალში ახალ, აუთვისებელ ტერიტორიებს აქცევს, რასაც თან სდევს ეკოლოგიური პრობლემები. ამიტომ ბუნება ითხოვს დაცვით ღონისძიებებს, იქმნება დაცული ტერიტორიების ფართო ქსელი.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) პროგნოზის მიხედვით (Tourism 2020 Vision), დადგენილია XXI საუკუნის ტურიზმის სახეების ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, ვთქვათ, რომ ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე არის ეკოლოგიური ტურიზმი, მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთ დინამიკურად განვითარებადი მიმართულება, რომელზეც სხვადასხვა შეფასების მიხედვით, ტურისტულ ბიზნესში კაპიტალის მსოფლიო ბრუნვის 7-8% მოდის.

ტურიზმის ბიზნესის განვითარება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით. ტურიზმის მკვეთრად მზარდი ტენდენცია შესაბამისად ზრდის ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკურ სარგებელს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს საქართველოს მშპ-ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია 9.3% იყო და მოსალოდნელია,

რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2028 წლამდე 10.5%-მდე გაიზრდება[1]. უამრავ ქვეყანაში ტურიზმით იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, ივსება სახელმწიფო ბიუჯეტი, იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი, თუმცა ტურისტული ცენტრები და რეგიონები ტურიზმიდან მხოლოდ შემოსავალზე არ ფიქრობენ, ისინი უზარმაზარ სახსრებს გამოყოფენ ტურისტული ინდუსტრიის ჰარმონიული განვითარებისათვის, განსაკუთრებით, ეს ეხება ეკოტურიზმს.

ჩვენს ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს და შესაძლებელია ეკოტურიზმი იქცეს ტურიზმის წამყვან სახეობად, რაც გაცილებით უფრო დიდი სარგებლის მომტანია, ვიდრე ეკონომიკური შემოსავალი. კერძოდ, მას შეუძლია შეაჩეროს მიგრაცია მთიდან ბარში და ქვეყანას შეუნარჩუნოს ულამაზესი სოფლები, მათი განსაკუთრებული ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით.

მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და მისი გონივრული გამოყენება არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, არამედ, რეგიონების ჰარმონიული განვითარების საწინდარია. "ეკოტურიზმი" – "მწვანე ინდუსტრია" ახალი მოვლენაა ტურიზმის ინდუსტრიაში. მისი დაინტერესების სფერო არის ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და გაუმჯობესება სწორი ორგანიზაციის პირობებში.

ეკოტურიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი, მისი მდგრადი განვითარება არის უწყვეტი პროცესი ცვლილებებისა, რომლის ჩარჩოებშიც მიმდინარეობს რესურსების გამოყენება, ინვესტიციების განხორციელება. XXI საუკუნეში დაიწყო ეკოტურიზმის სწრაფი აღმავლობა, ხოლო ეკოლოგიამ ცენტრალური ადგილი დაიკავა ტურიზმის განვითარებაში.

საქართველოს ტურისტული ბიზნესის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარე. საქართველო, უნიკალური ბიომრავალფეროვნების და ულამაზესი ლანდშაფტების მხრივ, მსოფლიოში მნიშვნელოვანი და გამორჩეული 36 ადგილის ჩამონათვალში შედის, უფრო მეტიც, იგი ამ სიაში მე-12 ადგილზეა. მსოფლიოში ძალიან ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე განლაგებულია ამდენი განსხვავებული ლანდშაფტი, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარული კავკასიონის ქედი, შავი ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მდინარეები და ჩანჩქერები, კარსტული მღვიმეები, კურორტები და მინერალური წყაროები, ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლები, ანუ რეკრეაციული რესურსები, ეს ხელს უწყობს საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებას და სახავს დიდ პერსპექტივას. მისი ტურისტული მასშტაბი 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრია, მდებარეობს 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი. ქვეყანაში არის 15 სახელმწიფო ნაკრძალი (ფართობი 139 048 ჰა); 13 ეროვნული პარკი (ფართობი 445 767 ჰა); 23 აღკვეთილი (ფართობი 75 207 ჰა); 40 ბუნების ძეგლი (2748,99 ჰა); 2 დაცული ლანდშაფტი (ფართობი 138 327 ჰა). ეკოტურისტებისთვის საინტერესოა ეთნოკულტურის სიმდიდრე, მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა, სახალხო დღესასწაულების მრავალფეროვნება, თავისებური ქართული სამზარეულო, ადათ-წესები, ხელობები, მაგრამ ეკოტურიზმს საქართველოში არ მიუღწევია პოტენციური შესაძლებლობების შესაბამისი დონისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ეკოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიაა და მისი მიზანი ველურ ბუნებასთან ურთიერთობაა. ეკოტურიზმის განვითარება ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებს საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. პირველი ნაკრძალი ლაგოდეხში, 1912 წელს დაარსდა. სწორედ აქედან იწყება საქართველოში დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება. ამ მიზნით 1996 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა

[1]საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კონფერენციის კრებული „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში". თბილისი 2020, გვ.41

მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ[1]. დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასითებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად. დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აქვთ, ერთ-ერთი კი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა.

დაცული ტერიტორიების ახალი სისტემის ჩამოყალიბების დიდ საქმეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ, სატყეო დეპარტამენტმა ჩაუყარა საფუძველი. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა. საქართველოს მთავრობამ მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის ღონისძიებების და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესახებ და მის დამხმარე ზონაში ეკოტურიზმის განვითარების კონცეფცია შემუშავდა.

საქართველოში (IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით) ხუთი სხვადასხვა კატეგორიის 94 დაცულ ტერიტორიას ქვეყნის მთლიანი ფართობის 11.4% (798 287) უკავია,[2] რაც დინამიკაში 2012 წელთან შედარებით, 38 %-ით არის გაზრდილი.



წყარო: www.apa.gov.ge

2020 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 240,268 ვიზიტორი ესტუმრა, კლება, წინა წელთან შედარებით, 80%-ს შეადგენს, ხოლო 2021 წელს, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა (589 098 ვიზიტორი) 2020 წლის მონაცემებთან შედარებით, 2.4-ჯერ გაიზარდა. 2020 წელს უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 26,432 იყო, კლებამ კი -95.7% შეადგინა. 2021 წლის მონაცემებით, ვიზიტორთა შორის 47% ქართველია (278 084 ვიზიტორი), ხოლო 53% უცხოელი (311 014 ვიზიტორი), 2020 წელთან შედარებით, ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 30%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა – 11,7-ჯერ.

[1]საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კონფერენციის კრებული „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. თბილისი 2020, გვ.66

[2]https://gnta.ge/ge/publication/conference2019/?fbclid=IwAR1KVBQpCJI7Lf3Gz6MvILgEdzrmdijY0woUfyNTpq0F3cvxundLeYYJCn4ტურიზმის განვითარეების პერსპექტივები-ეკოტურიზმი საქართველოში -თ.ქარცივაძე. გვ.84 – 86.



წყარო: www.apa.gov.ge

2019 წელს საქართველოს ეროვნულ პარკებს რეკორდული რაოდენობის – 1 199 011 ვიზიტორი ეწვია, რაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს ისტორიაში ყველაზე მაღალი იყო. 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ვიზიტორთა რაოდენობა +16 %- ით გაიზარდა, ხოლო 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით კი – 8.2%-ით. ვიზიტორების საერთო რაოდენობიდან 53% ქართველია, ხოლო 47% კი უცხოელი. კოვიდმა და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ: უცხოელი ვიზიტორების წილი დაცულ ტერიტორიებზე 51%-დან 11%-მდე შემცირდა. უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის კლებამ -95.7% შეადგინა, მაშინ როცა ქართველი ვიზიტორების კლება -63.6% იყო. შედეგად უცხოელ ვიზიტორთა წილი დაცული ტერიტორიების სტუმრების რაოდენობაში შემცირდა.

ბოლო წლებში შემცირებული ვიზიტორების რაოდენობა დაცული ტერიტორიების შემოსავლებზეც აისახა. 2021 წელს ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა5 832 764 ლარი, რაც წინა 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (899 076 ლარი) შედარებით 6.4 – ჯერ არის გაზრდილი, როცა 2020 წელს კლება წინა წელთან -90.4% იყო.



წყარო: www.apa.gov.ge

უნდა აღინიშნოს, რომ დაცული ტერიტორიების არსებობა დადებით გავლენას ახდენს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობაზეც, იზრდება დასახლებულ პუნქტებში დასაქმებულთა რაოდენობა (ძირითადად დასაქმებულები არიან გიდები, გამყოლები, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელები, კვების მომსახურებაში ჩართულები, სასტუმროს მეპატრონეები, ცხენის თუ სხვა სერვისის გაქირავებაში ჩართულები და ა.შ.), ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, ტურისტული სერვისები და იზრდება მათი შემოსავლებიც.
2021 წლის მდგომარეობით, დაცული ტერიტორიების სისტემაში ჯამში დასაქმებულია 708 თანამშრომელი, მათ შორის, 104 ცენტრალურ, ხოლო 604 – ტერიტორიულ ადმინისტრაციებში. ჯამში 387 რეინჯერია, მათ შორის, 5 ქალი, ხოლო დაცული ტერიტორიების მიმდებარედ დასაქმებულია 1211 ადამიანი, ფუნქციონირებს 383 სატუმრო, 238 მაღაზია და 177 კვების ობიექტი, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები შეადგენს დაახლოებით 3 947 961 ლარს[1].



წყარო: www.apa.gov.ge

ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავალი მრავალფაქტორიანი მაჩვენებელია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ვიზიტორთა რაოდენობა, ინვესტიციები, ინფრასტრუქტურა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, ასევე, სხვა ძირითადი და მეორეხარისხოვანი ფაქტორები. ყველა მათგანის გავლენის ზომას ჩვენ ვერ შევაფასებთ, მაგრამ მათგან გამოვყოფთ ძირითადს და შევეცდებით, მოვახდინოთ მაქსიმალურად ზუსტი გაანგარიშება.

დღევანდელ საქართველოში, ტურიზმის დარგის შესწავლისას, პირველ რიგში, დიდ ინტერესს იწვევს ტურისტთა ნაკადების ზრდასთან ერთად დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა რაოდენობისა და დაცული ტერიტორიის მიმდებარედ მხცოვრები მოსახლეობის შემოსავლების ურთიერთდამოკიდებულება. ამისათვის განვახორციელეთ 2007-2021 წწ მონაცემებზე დაყრდნობით საშედეგო მოვლენაზე მოქმედი ერთფაქტორიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი და შევაფასეთ გავლენის ზომა დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა რაოდენობასა და ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებულ შემოსავალს შორის. მონაცემები მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

[1] www.apa.gov.ge

ცხრილი N 1

წელი	დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორტა რაოდენობა (x)	ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავალი (y)
2007	7714	34427
2008	12226	56026
2009	68761	84962
2010	123315	118387
2011	303686	435859
2012	298910	737122
2013	355681	982869
2014	420166	1320793
2015	518218	1589756
2016	734874	2313697
2017	954692	4504472
2018	1108503	8436125
2019	1199011	9363447
2020	240268	899076
2021	589098	5832764
სულ	6935123	36709782

საანალიზოდ გამოვიყენეთ წრფივი ფუნქცია და განვახორციელეთ გაანგარიშებები, რის საფუძველზეც მივიღეთ შემდეგ სახის განტოლება:

$$Y = -951508.4777 + 7.3513X$$

შედეგად მივიღეთ მოდელის პარამეტრების შემდეგი ეკონომიკური ინტერპრეტაცია: დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა რაოდენობის (X -ის) გაზრდა 1 ერთეულით იწვევს ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლის (Y-ის) ზრდას საშუალოდ 7.351 ერთეულით. განტოლების სტატისტიკური მნიშვნელოვნება შემოწმდა დეტერმინაციის კოეფიციენტისა და ფიშერის ტესტის გამოყენებით. დადგენილია, რომ შესწავლილ სიტუაციაში შემოსავლის მთლიანი ცვალებადობის 83,36% აიხსნება ვიზიტორთა რაოდენობის ფაქტორის ცვლილებით.

ეკოტურიზმის ნებისმიერ სახეობას ბუნებრივი გარემოს დატვირთვის ზღვარი გააჩნია და ამან შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ზიანი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური თვალსაზრისით. მაგალითად ჰავაის კუნძულების სანაპირო ზოლიდან გაქრა ქვიშა, სამშენებლო სამუშაოების გამო. მსგავსი პრობლემები არის სხვა კონტინენტზეც. მაგალითად, ანტარქტიდაში, სადაც ათასობით გაიზარდა ტურისტთა რაოდენობაც და ნარჩენებიც. ამ პრობლემის მოსაგვარებლად 1991 წელს შეიქმნა ანტარქტიდის ტურ-ოპერატორთა საერთაშორისო ასოციაცია, ისინი მაქსიმალურად ზრუნავენ ტურისტთა უსაფრთხოებასა და გარემოს ეკოლოგიური დაცვაზე.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ეკოტურიზმის მდგრად განვითარებას, საჭიროა ტურისტული საქმიანობა შეესაბამებოდეს არსებული ბუნებრივი და ხელოვნური რესურსების გამტარობის პოტენციალს.

საქართველოში ტურიზმის და განსაკუთრებით ეკოტურიზმის ხელისშემშლელი ბევრი პრობლემა იყო, მათ შორის, ის, რომ არც ერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში არ მისდგომია ტურიმზის ინდუსტრიას ისეთი ზარალი, როგორც ეს მოხდა საქართვლოში, სადაც სახელმწიფო იძულებული გახდა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი 300 ათასამდე ადამიანი

განეთავსებინა საუკეთესო სანატორიუმებში, სასტუმროებში, პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში. ამან გამოიწვია ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება.

ტურიზმის დარგში პერსონალის ნაკლებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ტურისტული ნაკადების, სასტუმროების რიცხვის და ეროვნული პარკების ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა კომპეტენტურ პერსონალზე. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა ამზადებს ტურიზმის სპეციალისტებს უმაღლესი განათლებით, ჩვენს ქვეყანაში, ისევე, როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაში, დღეისათვის თითქმის არ არსებობდა ტურიზმის პროფესიათა სკოლა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა დაბალი და საშუალო პერსონალის მომზადებაზე. არადა, ამ რანგის პერსონალზე მოთხოვნა გაცილებით დიდია. უამრავი ვაკანსიაა ტურისტული სააგენტოებიდან და კვალიფიციურ კადრს ვერ პოულობენ. სახელმწიფო ზრუნავს ამ ფაქტზე და ეტაპობრივად ხსნის პროფესიულ სასწავლებლებს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით.

ტურიზმის განვითარებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად, ტურიზმის განვითარების პროგრამებმა და ტურისტული ობიექტების მშენებლობის პროცესებმა უნდა გაიარონ გარემოზე ზემოქმედების ეკოლოგიური ექსპერტიზა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, მივაღწიოთ ტურიზმის მდგრად განვითარებას ისე, რომ მივიღოთ ტურიზმიდან ეკონომიკური სარგებელი და არ დავაზიანოთ გარემო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოტურიზმის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის გზად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოებსა და გარემოსდაცვითი პროგრამების მიერ ეკო-ტურიზმის განვითარების პრიორიტეტების აღიარება და გარემოსდაცვით პროგრამებში ეკოტურიზმის კომპანიების ინტეგრირება, პრიორიტეტულ რეგიონებში ეკოტურიზმის განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. სასურველია, ეს ყოველივე ითვალისწინებდეს მსოფლიოში არსებული ეკოტურიზმის განვითარების ობიექტების (ეროვნული პარკების) გამოცდილებას, ასევე, ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების სწორად შემუშავებას.

კვლევების მიხედვით, რომელიც ჩაატარა ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ტურიზმის ინდუსტრიის შემოსავალი მსოფლიოს მასშტაბით $8.8 ტრილიონი დოლარია, რომლის დაახლოებით 10% მოდის ეკოტურიზმზე ($800 მლრდ. დოლარი – 1 ტრილიონი დოლარი). ეკოტურიზმი ასაქმებს 11 მილიონ ადამიანზე მეტს. მისი წლიური ზრდა 10%-დან 12%-მდე მერყეობს, აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ტურიზმის ყველაზე სწრაფად მზარდ სეგმენტს.

მსოფლიოში ეკოტურისტული საქმიანობის ორი მოდელი არსებობს: ავსტრალიური და დასავლეთევროპული (გერმანული), მესამე ,,ქართული" მოდელია. ეკოტურიზმის ფორმირების სტადიაზე ის ავსტრალიურ მოდელს ჰგავს და აქვს დასავლეთევროპული მოდელის ნიშნებიც. მისი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი არის სოციალური ფაქტორი, ანუ ეკოტურიზმი მოწოდებულია, მინიმუმამდე დაიყვანოს ანთროპოგენური დატვირთვა, ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას და აამაღლოს როგორც დამთვალიერებლების, ისე ადგილობრივების ეკოგანათლებისა და საერთო კულტურის დონე. ბევრი ქართული, განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორია, ეკოლოგიური ტურიზმის განხორციელებისას სწორედ ამ მოდელს იყენებეს. საზღვარგარეთ დაცულ ტერიტორიებს წელიწადში რამდენიმე მილიონი ტურისტი სტუმრობს. ევროპელი და ამერიკელი ეკოტურისტებისთვის ეკოტური მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ყველაზე პოპულარული დასვენების საშუალებაა. საქართველოში კი ეკოტურიზმი შედარებით ახალია და ბევრმა არ იცის, რით განსხვავდება ტურიზმის ეს სახეობა ბუნებაში ჩვეულებრივი დასვენებისაგან. დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებას დიდი წვლილი შეაქვს ტურიზმის და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, იგი განსაკუთრებით დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ყოველწლიურად იზრდება დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურისა და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა.

2017 წელს, გერმანელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მხოლოდ 5 დაცული ტერიტორიის ეფექტი საქართველოს ეკონომიკაში 87 მლნ. ლარს შეადგენდა.

2021 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა: მარტვილის კანიონს (20%), პრომეთეს მღვიმეს (18%), ყაზბეგის ეროვნულ პარკს (11%), ოკაცეს კანიონს (9%), მტირალას ეროვნულ პარკს (9%), თბილისის ეროვნულ პარკს (8%), სათაფლიას (6%), ალგეთის ეროვნულ პარკს (4%), ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს (3%), კინჩხას, (3%), ხოლო დანარჩენი 9% ესტუმრა თუშეთის, წალკის, ჯავახეთის, ვაშლოვანის, კოლხეთის ეროვნულ პარკებს, ლაგოდეხის, ქობულეთის, კინტრიშის, თეთრას, ჭაჭუნას, მაჭახელას, აჯამეთის და მარიამჯვარის დაცულ ტერიტორიებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ეკოტურიზმი დიდ საზოგადოებრივ სარგებელსა და ინვესტიციებს უზრუნველყოფს, მიზანშეწონილია ამ მიმართულებით საბიუჯეტო ხარჯების გაზრდა. საქართველოში 2019 წელს 30-მდე ეკოტურისტული ატრაქცია შეიქმნა, რისთვისაც 2 მილიონზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. მაგრამ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს სამთავრობო დონეზე და სამინისტროებს შორის ჩამოყალიბდეს ინტეგრირებული და შეთანხმებული თანამშრომლობა ეკოტურიზმთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართვა და დაინტერესება ზოგადად ტურიზმით, რათა განხორციელდეს ინვესტიციები და განვითარდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ბილიკები, ვიზიტორთა ცენტრები, კოტეჯები და ა.შ.), შენარჩუნდეს გარემო და მოსახლეობამ, ბიზნესმა და სახელმწიფომ მიიღონ ეკონომიკური სარგებელი. 2019 წელს პირველად განხორციელდა კერძო საერთაშორისო ინვესტიციები დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებაში, რამაც 40 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა. თუმცა ეს არ არის საკმარისი, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო უკეთესი პირობების, საკანონდებლო ბაზის, სტრატეგიის და ბიზნეს-გარემოს შექმნა, რომელშიც კერძო ბიზნესის საქმიანობა სერიოზულ მოგებას მოიტანს. განვითარების პერსპექტივები არსებობს, რასაც ერთი მხრივ, ადასტურებს საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება და სილამაზე, მეორე მხრივ, კი მთვარ ტურისტულ ბაზართან – ევროპასთან გეოგრაფიული სიახლოვე.

დასკვნა

როგორც სტატიაში აღვნიშნეთ, ეკოტურიზმი ტურიზმის სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია გარემოს დაცვა და შენარჩუნება. იქიდან გამომდინარე, რომ ეკოტურიზმი დიდ საზოგადოებრივ სარგებელსა და ინვესტიციებს უზრუნველყოფს, მიზანშეწონილია ამ მიმართულებით საბიუჯეტო ხარჯების გაზრდა. საქართველოში 2019 წელს 30-მდე ეკოტურისტული ატრაქცია შეიქმნა, რისთვისაც 2 მილიონზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. მაგრამ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს სამთავრობო დონეზე და სამინისტროებს შორის ჩამოყალიბდეს ინტეგრირებული და შეთანხმებული თანამშრომლობა ეკოტურიზმთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართვა და დაინტერესება ზოგადად ტურიზმით, რათა განხორციელდეს ინვესტიციები და განვითარდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ბილიკები, ვიზიტორთა ცენტრები, კოტეჯები და ა.შ.), შენარჩუნდეს გარემო და მოსახლეობამ, ბიზნესმა და სახელმწიფომ მიიღონ ეკონომიკური სარგებელი. 2019 წელს პირველად განხორციელდა კერძო საერთაშორისო ინვესტიციები დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებაში, რამაც 40 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა. თუმცა ეს არ არის საკმარისი, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო უკეთესი პირობების, საკანონდებლო ბაზის, სტრატეგიისა და ბიზნეს-გარემოს შექმნა, რომელშიც კერძო ბიზნესის საქმიანობა სერიოზულ მოგებას მოიტანს. განვითარების პერსპექტივები არსებობს, რასაც ერთი მხრივ, ადასტურებს საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება და სილამაზე, მეორე მხრივ, კი მთვარ ტურისტულ ბაზართან – ევროპასთან გეოგრაფიული სიახლოვე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კონფერენციის კრებული „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. თბილისი 2020.
2. https://gnta.ge/ge/publication/conference2019/?fbclid=IwAR1KVBQpCJI7Lf3Gz6MvILgEdzrmdijY0woUfyNTpq0F3cvxundLeYYJCn4 ”ტურიზმის განვითარეების პერსპექტივები-ეკოტურიზმი საქართველოში” – თ.ქარცივაძე. გვ. 84 – 86.
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2021 წლის ანგარიში.
4. საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030. თბილისი, ნოემბერი 2020.
5. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა. თბილისი 2020.
6. “ტურისტული საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება”. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცის და სტატისტიკა“. შ.მეტრეველი. თბ. 2014. გვ.321-329
7. “სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოს ტურიზმში”. შ.მეტრეველი. მონოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ.2012. გვ.171.
8. www.apa.gov.ge
9. www.geostat.ge